SAN DIEGO STATE UNIVERSITY
Georgia

სამშენებლო ინჟინერია
სამოქალაქო ინჟინერია

სამოქალაქო ინჟინერია

სამოქალაქო ინჟინერია სწრაფად მზარდი პროფესიაა, შესანიშნავი კარიერული შესაძლებლობებით. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო ინჟინერიის პროგრამა მრავალფეროვანი, საინტერესო, გამოწვევებით აღსავსე და მოქნილია. ინჟინერის სამუშაო ინტელექტუალური, ცვალებადი და ნაკლებად რუტინულია, ამიტომაც, SDSU-ს პროგრამა ფოკუსირდება ზუსტ მეცნიერებებზე, მათემატიკასა და ინჟინერიაზე. პროგრამა მოიცავს სოციალურ და ჰუმანიტარულ მიმართულებებსაც, რადგან სამოქალაქო ინჟინერიის კურსდამთავრებულ-ებმა უნდა შეძლონ საკუთარი გადაწყვეტილებ-ების სოციალური და ეკონომიკური შედეგების გათვალისწინება.

კარიერული შესაძლებლობები

სამოქალაქო ინჟინერიის კურსდამთავრებულ-თათვის სხვა სფეროებთან ერთად შესაძლო კარიერული განვითარება გარემოს დაცვის და ტრანსპორტირების სფეროებში მოიაზრება. ამ დარგის სპეციალისტები მოთხოვნადია როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორებში, რომლებსაც სამოქალაქო ინჟინრების ახალი, კარგად მომზადებული თაობა ესაჭიროება. ჩვენი პროგრამები დაგეგმილია ისე, რომ მოამზადოს სტუდენტები შრომის ბაზრის საჭირობების შესაბამისად.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო მჭიდრო კავშირს ინარჩუნებს კერძო სექტორთან და სტუდენტების პოტენციურ დამსაქმებლებთან. სპეციალურად ამ მიზნით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის წევრები არიან საქართველოს და აშშ-ის კერძო და საჯარო სექტორის წამყვანი კომპანიების ხელმძღვანელები. აღნიშნული კავშირები, აგრეთვე გამოიყენება ჩვენი სტუდენტებისთვის სტაჟირების პროგრამების შესაქმნელად. ბევრი სტუდენტი სტაჟირებას პირველივე კურსიდან გადის. ამაში მათ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური კარიერული განვითარების პროგრამა ეხმარება, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები სწავლობენ კარიერული განვითარების სხვადასხვა ტექნიკებს და მონაწილეობას იღებენ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოველწლიურ დასაქმებისა და სტაჟირების ფორუმში.

გაიგეთ მეტი სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო ინჟინერიის პროგრამის შესახებ Georgia.SDSU.edu

SAN DIEGO STATE UNIVERSITY
Georgia

სამშენებლო ინჟინერია
სამოქალაქო ინჟინერია

სამშენებლო ინჟინერია

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამშენებლო ინჟინერიის პროგრამა სამშენებლო სექტორსა და უნივერსიტეტს შორის ერთობლივი მუშაობის შედეგია. ამ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიანი და ეფექტიანი სამუშაო ძალის მომზადება. პროგრამის მახასიათებლებია:

- ✓ ძირითადი საგანმანათლებლო კურიკულუმი, რომელიც სამშენებლო ინჟინერიის და სამშენებლო საწარმოთა მართვის თეორიაზე და პრაქტიკაზეა ფოკუსირებული.
- ✓ დივერსიფიცირებული ზოგადი განათ-ლების მოდული კურიკულუმში, რომელიც ხელს უწყობს პროფე-სიონალის მოქალაქეობრივი როლის გაცნობიერებას და კრეატიული და ინტელექტუალური აქტივობების წამოწევას.

სამშენებლო ინჟინერია საკმაოდ ფართო შინაარსის პროფესიაა, რომელიც მოითხოვს ბალანსს ტექნიკურ მხარეებსა (საწარმოო სისტემების დიზაინი, საჭირო სამუშაოების შესრულება უსაფრთხოდ და ბიუჯეტის და განრიგის შესაბამისად) და საზოგადოებრივ საჭიროებებს შორის. სამშენებლო სფეროში ჩვენი ცოდნა ეფუძნება წარსულ გამოცდილებას.

სამშენებლო ინჟინერია არის დისციპლინა, რომელიც შეგვიძლია აღვწეროთ, როგორც მეცნიერული პრინციპების და პროექტის მენეჯმენტის უნარების ერთობლიობა სამშენებლო საქმის წარმოებაში. ეს არის პროფესია, რომელიც წყვეტს ფუნდამენტურ პრობლემებს. სამშენებლო ინჟინერიის პროფესიონალს მოეთხოვება, გააჩნდეს საკმარისი უნარები და ცოდნა, რათა შეძლოს ოცნების დიზაინის განხორციელება რეალობაში. სამშენებლო ინჟინერიის პროფესიონალებს უნდა ესმოდეთ საზოგადოების საჭიროებები და მისი ძირითადი ფუნქციები, რათა წარმატებით შეძლონ საკუთარი მისიის განხორციელება საზოგადოების წინაშე.

კარიერიული შესაძლებლობები

სამშენებლო ინჟინერია მოთხოვნადი პროფესიაა შესანიშნავი კარიერული შესაძლებლობებით.
კურსდამთავრებულთათვის სხვა სფეროებთან ერთად შესაძლო კარიერული განვითარება მოიაზრება სამშენებლო და ინფრა-სტრუქტურულ პროექტებში, გარემოს დაცვის, ტრანსპორტირების, წყალმომარაგების სფერო-ებში. ამ დარგის სპეციალისტები ფართოდ მოთხოვნადია როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორებში. ჩვენი პროგრამები დაგეგმილია ისე, რომ მოამზადოს სტუდენტები შრომის ბაზრის საჭირობების შესაბამისად.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო მჭიდრო კავშირს ინარჩუნებს კერძო სექტორთან და სტუდენტების პოტენციურ დამსაქმებლებთან. სპეციალურად ამ მიზნით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის წევრები არიან საქართველოს და აშშ-ის კერძო და საჯარო სექტორის წამყვანი კომპანიების ხელმძღვანელები. აღნიშნული კავშირები, აგრეთვე გამოიყენება ჩვენი სტუდენტებისთვის სტაჟირების პროგრამების შესაქმნელად. ბევრი სტუდენტი სტაჟირებას პირველივე კურსიდან გადის. ამაში მათ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური კარიერული განვითარების პროგრამა ეხმარება, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები სწავლობენ კარიერული განვითარების სხვადასხვა ტექნიკებს და მონაწილეობას იღებენ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოველწლიურ დასაქმებისა და სტაჟირების ფორუმში.